

## ჩემპიონური თამაში

მოსკოვი. ცენტრალური სტადიონი. 9 ივნისი.

ცსკა - "დინამო" (თბილისი) 2:4 (1:2).

ცსკა: კუდასოვი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ღოროდნიხი, ბაგრიჩი, მანოშინი, პოლიკარპოვი, ბასალიკი, ფედოტოვი, კაზაკოვი, კაშტანოვი (შიმანოვიჩი).

"დინამო": კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

მსაჯი ვ. ანძიულისი (კაუნასი).

ამ სტრიქონების ავტორს საკმაოდ ბევრი მატჩი ახსოვს, რომლებიც "დაუვინწყარის" კატეგორიას მიეკუთვნებიან და შემოძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ გუშინდელი თამაშიც ამ რანგში შედის. ჩემპიონმა ითამაშა ჩემპიონურად, მონოდების სიმალღებე. იდგა შარშანდელი მესამე პრიზიორიც და მაყურებელმა დიდი სიამოვნება მიიღო ამ უაღრესად დაძაბული და საინტერესო მატჩით. ამასთან, არ დაივინწყოთ, რომ თბილისელებს ძალზე დიდხანს მოუხდათ რიცხოვრივი უმცირესობით თამაში: მესხი 55-ე წუთზე გაძევებულ იქნა მინდვრიდან.

მე ვიცი, რომ თბილისელები განვლილ შეხვედრას ტელევიზორში უყურებდნენ და ამიტომ არ შეუდგები იმ წარმტაცი მომენტების აღწერას, რომლებიც მრავლად იქმნებოდა ორივე გუნდის კართან: აქ იყო ორივე მეკარის შესანიშნავი ნახტომები (და შეცდომებიც! ასეთ მწვავე სათასო მატჩში შეცდომისგან ვინაა დაზღვეული?!), ფორვარდების ბრწყინვალე დარტყმები და გამოუყენებელი შესაძლებლობანიც. აქ იყო დინამოელთა განუმეორებელი, ტექნიკურად ვირტუოზული დრიბლინგი და არმიელთა მწყობრი, გეგმიანი თამაში. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულს წლობით არ ავინწყდება ხოლმე.

პირველი ბურთი ცსკა-ს კარში როგორღაც მოულოდნელად გავიდა. მეკარე და მცველი წამით შეფერხდნენ და დათუნაშვილმა, რომელიც ამ საჭმეში სპეციალისტად ითვლება, გახსნა ანგარიში, მაგრამ მეორე გოლი კი ნამდვილი საფეხბურთო შედეგრი იყო. მას შემდეგ, რაც კოტრიკაძემ ერთობ იოლი ბურთი გაუშვა, ბარქაიამ შორი მანძილიდან დაარტყა ისეთი ოსტატობით, რომ მას ცსკა-ს მწვრთნელებიც კი უკრავდნენ ტაშს. არ შეიძლება ღირსეულად არ შეაფასო ასეთი გოლი!

"დინამო" კიდევ უფრო დაწინაურდა 46-ე წუთზე, როცა მეტრეველმა მოულოდნელად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარის შორეულ კუთხეში – 3:1. აი, სწორედ აქ დარჩნენ თბილისელები 10 კაცის შემადგენლობით და ბრძოლას ახლებური სიმწვავე მიეცა. მოსკოველები განუწყვეტლივ უტევდნენ, კოტრიკაძეს მრავალი უძნელესი ბურთის აღება მოუხდა, მაგრამ მან მაინც გამოიტანა ბურთი ბადიდან... ბ. სიჭინავას მარცხიანი დარტყმის შემდეგ – 2:3.

მაგრამ განვლილი მატჩის სილამაზე სწორედ ის იყო, რომ ათნი ღირსეულად იბრძოდნენ მაღალ ტემპში, ზუსტად, ვაჟკაცურად და როცა მეტრეველმა 73-ე წუთზე მეოთხედ შეარხია არმიელთა კარის ბადე, სტადიონი ერთსულოვანი ტაშით შეხვდა ჩემპიონის ახალ წარმატებას.

4:2. ეს იყო ნამდვილი სათასო მატჩი, ნამდვილი ფეხბურთი.

ვ. შავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 10 ივნისი, 1965 წ.